ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3464258

ნომერი: AR1524291

თარიღი : 01.08.2017

გაცემის თარიღი : 14.08.2017

გაცნობის თარიღი : 14.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა გიორგაძე პ/ნ 01015001959
- თბილისი ერეკლე II მოედ. N 1/1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1519944 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, #01.72.14.007.047 საკადასტრო ერთეულზე ნებისმიერი სახის განცხადების შემოსვლის შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წლის 10 იანვრის #490681გადაწყვეტილებით დადგინდა ქ.თბილისში, დიღმის

სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/კ #01.72.14.007.047) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის (ოქმი #5 (06.02.203)) დადებითი დასკვნის საფუძველზე გაიცა ქ. თბილისის მერის #223 (18.02.2013) განკარგულება და ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/კ #01.72.14.007.047) განაშენიანების კ-2 კოეფიციენტი განისაზრვრა 1.1-ით. (#536374 გადაწყვეტილება 22.02.2013)
2013 წლის 14 ივნისის #740841 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, მოქ. ლუდმილა კიკნაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #01.72.14.007.047), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2017 წლის 22 ივნისის #3323288 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის #490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი;
2017 წლის 7 აგვისტოს # 3420193 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 ივნისის #740841 ბრძანება.
2017 წლის 11 აგვისტოს #3461838 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის #490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, #01.72.14.007.047 საკადასტრო ერთეულზე(თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.